



ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2021
წლის ბიუჯეტის პროექტი

მოქალაქის გზამკვლევი

2020 წელი, ნოემბერი

სარჩევი

შესავალი	3
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტი - სოციალურ-ეკონომიკური მიმოხილვა	4
საქართველოს საბიუჯეტო სისტემა.....	6
საქართველოს საბიუჯეტო სისტემის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტები	11
საბიუჯეტო პროცესი თვითმმართველობაში	13
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი 2011-2021 წლებში	15
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტი.....	17
ბიუჯეტის შემოსულობები.....	17
ნაშთის ცვლილება	20
ბიუჯეტის გადასახდელები პროგრამების და პრიორიტეტების მიხედვით	21
მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები	24
ინფრასტრუქტურის განვითარება	25
დასუფთავება და გარემოს დაცვა.....	29
განათლება	31
კულტურა, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები.....	32
მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	37
ბიუჯეტის გადასახდელები საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით	43

შესავალი

ბიუჯეტის გზამკვლევის შემუშავება ეხმარება მოქალაქეს მარტივ, მისთვის გასაგებ ენაზე მიიღოს ინფორმაცია ამა თუ იმ მუნიციპალიტეტში წლის განმავლობაში დაგეგმილი ინფრასტრუქტურული, სოციალური, საგანმანათლებლო და სხვა სახის პროექტებისა და ღონისძიებების შესახებ. გზამკვლევაში მოცემული ინფორმაცია წარმოადგენს თვითმმართველობის აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ დაგეგმილი ღონისძიებების მოკლე აღწერას, წარმოაჩენს მათ მიზნობრიობას, დაგეგმილ აქტივობებს სძენს მეტ ტრანსფარენტულობას და საჯაროობას.

ბიუჯეტის გზამკვლევი მოიცავს ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის პროექტის პირველადი ვარიანტის მოკლე აღწერას. უნდა აღინიშნოს, რომ კანონმდებლობის შესაბამისად ბიუჯეტის პროექტის წარმოდგენილი ვარიანტი მუნიციპალიტეტის მერიის მიერ საკრებულოში წარდგენილია 15 ნოემბრამდე პერიოდში, რომელიც საკრებულოს მნიშვნელობის გათვალისწინებით ექვემდებარება გადახედვას და არაუგვიანეს 10 დეკემბრისა საკრებულოში წარდგენას. ასევე, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ბიუჯეტის პროექტის წარმოდგენილი ვარიანტი არ ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილ კაპიტალურ ტრანსფერს, რომელიც ქუთაისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მნიშვნელოვანი შემოსავალია და მის ფორმირებაში დიდ როლს თამაშობს.


წარმოდგენილი ინფორმაცია არ შემოიფარგლება მხოლოდ ერთი კონკრეტული წლის მონაცემებით. მასში 2021 წლის საბიუჯეტო მონაცემები შედარებულია გასული 2 წლის ანალოგიურ მაჩვენებლებს, როგორც ბიუჯეტის ხარჯვით ასევე, შემოსავლების ნაწილში. წარმოდგენილია ინფორმაცია ბოლო 10 წლის განმავლობაში ქუთაისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ცვლილების დინამიკის შესახებ.

ბიუჯეტის გზამკვლევაში ასევე მოცემულია ინფორმაცია საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ, საბიუჯეტო სისტემის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებზე და თვითმმართველობების საბიუჯეტო პროცესზე.

გზამკვლევაში მოყვანილი 2020 წლის ბიუჯეტის მაჩვენებლები ასახავს 2020 წლის 10 თვის მდგომარეობით არსებულ სურათს. წარმოდგენილი ციფრები ეფუძნება ფინანსთა სამინისტროს eTreasury სისტემაში 2020 წლის 1 ნოემბრის მდგომარეობით არსებულ მონაცემებს. 2020 წლის გეგმიური მაჩვენებლები შესაძლებელია რიგ შემთხვევებში არ ემთხვეოდეს საკრებულოს მიერ დატვიცვებული ბიუჯეტის მონაცემებს (განსხვავების მიზეზი შესაძლებელია იყოს: სახელმწიფო ფონდებიდან გამოყოფილი თანხები, რომელთა ასახვა ჯერ არ მომხდარა ბიუჯეტში; 5%-იანი გადანაწილებით დაზუსტებული ასიგნებები; სარეზერვო ფონდიდან გადანაწილებული თანხები), მაგრამ ეს არის მიმდინარე ეტაპისთვის ის რეალური მაჩვენებლები, რომლის ფარგლებშიც მუნიციპალიტეტი ახორციელებს ხარჯების გაწევას 2020 წლის ბიუჯეტიდან.


ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტი - სოციალურ-ეკონომიკური მიმოხილვა

ქუთაისი - ქალაქი და მინიციპალიტეტი საქართველოში, იმერეთის მხარის ადმინისტრაციული ცენტრია. ოფიციალურად ქალაქად გამოცხადდა 1811 წელს. ქუთაისი მნიშვნელობით მეორე სამრეწველო და კულტურული ქალაქია. აქ მდებარეობს მძიმე, მსუბუქი და კვების მრავალი საწარმო, კულტურული ობიექტი, თეატრები, გალერეები, ქუთაისი განათლების ერთ-ერთი ცენტრია საქართველოში.



ქალაქი ქუთაისი თავისი გეოგრაფიული მდებარეობით მიმზიდველ პირობებს ქმნის მრავალმხრივი განვითარებისათვის. ქუთაისი მდებარეობს მიწისძვრების, მეწყერებისა და სხვა ბუნებრივი კატასტროფების დაბალი რისკის ზონაში და გარშემოცემულია ბუნებრივი რესურსებით მდიდარი ტერიტორიებით. ქალაქი განსაკუთრებით მდიდარია კულტურული და ისტორიული მემკვიდრეობით, ასევე ცნობილია თავისი გასტრონომიითა და სტუმართმოყვარეობით. ქუთაისის მიმზიდველობას ზრდის იმერეთის რეგიონში მდებარე ორმოცდაათზე მეტი ისტორიული და სამკურნალო-რეკრეაციული დანიშნულების ადგილებთან სიახლოვე. განსაკუთრებული როლი აქვს დავით აღმაშენებლის სახელობის ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტს, საიდანაც ფრენები ხორციელდება ევროპის 19 ქვეყანის 41 ქალაქში. ასევე შიდა ფრენა მესტიის მიმართულებით. ყოველწლიურად მზარდია ფრენის მიმართულებების რაოდენობა.


ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტი მოიცავს 1 მუნიციპალურ ერთეულს - ქალაქ ქუთაისს. ქალაქი დაყოფილია 12 ადმინისტრაციულ ერთეულად.



საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით 2020 წლის 1 აინვრისათვის ქ. ქუთაისის მოსახლეობა შეადგენს 135,2 ათას კაცს, რაც ქვეყნის მთლიანი მოსახლეობის 4%-ია, ხოლო იმერეთის რეგიონის 28%. ქ. ქუთაისი მოსახლეობის სიდიდით თბილისისა (1,114.6 ათასი) და ბათუმის (169.1 ათასი) შემდეგ მესამე ქალაქია საქართველოში.

გრაფიკი #1

საქართველოს მუნიციპალიტეტების მოსახლეობა



* გრაფიკის თავსებადობის მიზნით, მონაცემები არ მოიცავს ქ. თბილისის მაჩვენებლებს

ქუთაისის დოკუმენტური ისტორია იწყება ძვ. წ. III საუკუნიდან, თუმცა ანტიკური ავტორები მას თვლიან ძველი კოლხეთის სამეფოს (ძვ. წ. VIII ს.) დედაქალაქად. ქუთაისის ძველი სახელებია: აია, ქუთაია, ქუთათისიუმი. საუკუნეების განმავლობაში, VIII-დან XIX საუკუნემდე, დასავლეთქართული სახელმწიფოს (მოგვიანებით იმერეთის სამეფოს) ცენტრი.

ქუთაისი რამდენიმე მნიშვნელოვანი საავტომობილო მაგისტრალის გადაკვეთაზე მდებარეობს. ქალაქში გადის საქართველოს მთავარი საავტომობილო მაგისტრალი ს1, ასევე საავტომობილო გზები ქუთაისი-წყალტუბო-ცაგერი-ლენტეხი, ქუთაისი-ბაღდათი და ქუთაისი-ტყეზი. ქალაქში არის რკინიგზის სადგური, საიდანაც არის მუდმივი მიმოსვლა თბილისსა და ბათუმში. ქალაქში მოძრაობს საზოგადოებრივი ტრანსპორტი. ქუთაისიდან რამდენიმე კილომეტრში, კოპიტნარში, მოქმედებს დავით აღმაშენებლის სახელობის საერთაშორისო აეროპორტი. ქალაქში მდებარეობს 35 ბაგა-ბაღი, 46 საჯარო და 20 კერძო სკოლა, აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისის სამართლისა და ეკონომიკის უნივერსიტეტი და სხვა საგანმანათლებლო დაწესებულება.

საქართველოს საბიუჯეტო სისტემა

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის მიხედვით საქართველოს საბიუჯეტო სისტემა არის „საქართველოს ცენტრალური, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ხელისუფლების ფუნქციების შესასრულებლად, ფულადი სახსრების მობილიზებისა და გამოყენების მიზნით, სამართლებრივი აქტებით რეგულირებული საბიუჯეტო ურთიერთობათა ერთობლიობა“.

ტერმინი „ბიუჯეტი“ („Budget“) ინგლისური სიტყვაა და ტომარას ნიშნავს. დღევანდელი მნიშვნელობით ამ ტერმინის გამოყენება ისტორიულ წყაროებში პირველად გვხვდება ინგლისის თემთა პალატაში. როდესაც მთავრობა თემთა პალატას ფულს სთხოვდა, ხაზინის კანცლერი ხსნიდა პორტფელს (ტომარას), სადაც სახელმწიფო შემოსავლების და ხარჯების ხარჯთაღრიცხვის კანონპროექტი იყო. ამას უწოდებდნენ ბიუჯეტის გახსნას.

დღეს საქართველოში ბიუჯეტი წარმოდგენს შესაბამისი დონის ხელისუფლების ორგანოების მიერ საკუთარი უფლებებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით მისაღებ და გასაცემ ფულადი სახსრების ერთობლიობას, მათი შეგროვებისა და გადახდის გეგმას. ამ სახით პროგნოზი კეთდება მომდევნო 4 წელზე, ხოლო მმართველობის შესაბამისი ორგანოს მიერ ბიუჯეტი მტკიცდება და აღსრულებას ექვემდებარება მომდევნო 1 წლისათვის.

საქართველოს საბიუჯეტო სისტემა აერთიანებს სხვადასხვა დონის ბიუჯეტებს. დღეს მოქმედი კანონმდებლობითა და საბიუჯეტო მოწყობის მიხედვით საქართველოში არსებობს ბიუჯეტის სამი დონე: საქართველოს სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტები. ბიუჯეტები მტკიცდება ასევე, შესაბამისი დონის ხელისუფლებების მიერ.

საქართველოს სახელმწიფო, ავტონომიური და ადგილობრივი ბიუჯეტების ყველა შემოსულობის და გადასახდელის აღრიცხვა-ანგარიშგება ხორციელდება სახელმწიფო ხაზინის სისტემის მეშვეობით.

გარდა ამისა არსებობს და ფინანსური ანგარიშგებებისათვის გამოიყენება ბიუჯეტები, რომლებიც არ ექვემდებარება დამტკიცებას. ესეთი ბიუჯეტი წარმოადგენს, ზემოთ მოყვანილი, შესაბამისი დონის ხელისუფლების მიერ დამტკიცებული ბიუჯეტების კონსოლიდირებულ ვერსიებს. ესენია: საქართველოს ნაერთი ბიუჯეტი, სახელმწიფოს ერთიანი ბიუჯეტი, ცენტრალური ბიუჯეტი, ავტონომიური რესპუბლიკების ნაერთი ბიუჯეტი, ერთიანი ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტი, ავტონომიური რესპუბლიკის ერთიანი რესპუბლიკური ბიუჯეტი და ერთიანი მუნიციპალური ბიუჯეტი. მიუხედავად იმისა, რომ ჩამოთვლილი ბიუჯეტები არ მტკიცდება, მისი შედგენა მნიშვნელოვანია ქვეყნის ფინანსური, საბიუჯეტო ანგარიშგებებისათვის. ბიუჯეტების ამ სახით კონსოლიდაციის გარეშე

არ იქნება სრულყოფილი თვითმმართველობის, ავტონომიური რესპუბლიკებისა და მთლიანად ქვეყნის დონეზე საბიუჯეტო სისტემის ანალიზი და ანგარიშგება.

როგორც ავლნიშნეთ რიგი ბიუჯეტები არ ექვემდებარება დამტკიცებას და ეს ბიუჯეტები წარმოადგენს დამტკიცებული ბიუჯეტების კონსოლიდირებულ ვერსიებს. დამტკიცებას ექვემდებარება შემდეგი ბიუჯეტები:

- სახელმწიფო ბიუჯეტი - მტკიცდება საქართველოს პარლამენტის მიერ;
- ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტი - მტკიცდება ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მიერ;
- ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტი - მტკიცდება ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს, საკრებულოს მიერ.
- სსიპ-ების და ააიპ-ების ბიუჯეტები - მტკიცდება კანონმდებლობით დადგენილი წესით (რიგ შემთხვევებში ხელმძღვანელის მიერ, რიგ შემთხვევაში მაკონტროლებლის ან მაკონტროლებლის თანხმობით და ა.შ.).

ჩვენ ყურადღებას გავამახვილებთ ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტზე. კერძოდ იმ საკითხებზე, თუ რას წარმოადგენს თვითმმართველობის ბიუჯეტი, რა როლი უჭირავს მას ქვეყნის საბიუჯეტო სისტემაში, რა სახის კავშირი და დამოკიდებულება აქვს თვითმმართველობების ბიუჯეტებს სხვა დონის ბიუჯეტებთან.

თვითმმართველი ერთეული არის მუნიციპალიტეტი, რომელსაც აქვს საკუთარი ადმინისტრაციული საზღვრები. ხოლო, ადგილობრივი თვითმმართველობა არის შესაბამის მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოქალაქეთა უფლება, მათ მიერ არჩეული თვითმმართველობის ორგანოების მეშვეობით გადაწყვიტონ ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხები. სწორედ თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტი წარმოადგენს ამ საკითხების გადაწყვეტის ძირითად და მნიშვნელოვან ინსტრუმენტს.

მუნიციპალიტეტს გააჩნია საკუთარი და დელეგირებული უფლებამოსილებები. საკუთარი უფლებამოსილება არის ის უფლებამოსილება, რომელსაც მუნიციპალიტეტი ახორციელებს დამოუკიდებლად, საკუთარი პასუხისმგებლობით. ხოლო, დელეგირებული უფლებამოსილება - სახელმწიფო ან/და ავტონომიური რესპუბლიკის უფლებამოსილება, რომელიც შესაბამისი მატერიალური და ფინანსური უზრუნველყოფით გადაეცემა ადგილობრივ თვითმმართველობას. მუნიციპალიტეტის საკუთარი უფლებამოსილებების ჩამონათვალს განსაზღვრავს საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“.


ადგილობრივი ბიუჯეტის ფორმირების წყაროს წარმოადგენს მუნიციპალიტეტის საკუთარი შემოსულობები და სხვა ბიუჯეტიდან მიღებული არასაკუთარი შემოსულობები. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არასაკუთარ შემოსულობებს მიეკუთვნება ბიუჯეტის მიერ

მიღებული სესხი და გრანტი, აგრეთვე სპეციალური, კაპიტალური და მიზნობრივი ტრანსფერები. ბიუჯეტის ყველა სხვა შემოსულობა წარმოადგენს თვითმმართველობის ბიუჯეტის საკუთარ შემოსულობას, რომელთა გამოყენებაც მუნიციპალიტეტს შეუძლია დამოუკიდებლად, საკუთარი გადაწყვეტილების შესაბამისად. სწორედ საკუთარი შემოსულობები და მათი დამოუკიდებლად განკარგვის შესაძლებლობა უზრუნველყოფს მუნიციპალური ბიუჯეტის დამოუკიდებლობას.

თუ ვნახავთ გასული წლების მუნიციპალიტეტების შემოსულობების ნაერთ მაჩვენებლებს გამოჩნდება, რომ მუნიციპალური ბიუჯეტის ძირითადი შემოსავლები სწორედ მისი საკუთარი შემოსულობებია. მაგალითისთვის, 2019 წლისათვის მუნიციპალიტეტების ნაერთ შემოსულობებში საკუთარი შემოსულობების ფაქტიური მაჩვენებელი 76% იყო (გრაფიკი #2).

გრაფიკი #2


მუნიციპალიტეტების 2019 წლის ნაერთი შემოსულობები საკუთარი და არასაკუთარი შემოსულობების მიხედვით (თანხა მლნ ლარი)



გრაფიკ #3-ში მოცემულია საკუთარი შემოსავლების სტრუქტურა 2019 წლის ფაქტიური შემოსავლების მიხედვით. გრაფიკში მოცემული სხვა შემოსავლების მონაცემი აერთიანებს შემოსავლების საბიუჯეტო კლასიფიკაციის როგორც სხვა შემოსავლებიდან, ასევე, არაფინანსური (კაპიტალური შემოსავლები) და ფინანსური (ძირითდად ნაშთის გამოყენება) აქტივებიდან მუნიციპალურ ბიუჯეტებში მობილიზებულ თანხებს.

გრაფიკი #3

მუნიციპალიტეტების 2019 წლის ნაერთი შემოსულობების
საკუთარი შემოსულობების სტრუქტურა (თანხა მლნ ლარი)



უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს საბიუჯეტო სისტემაში 2019 წლის 1 იანვრიდან განხორციელდა მნიშვნელოვანი ცვლილება, რომელმაც დიდი გავლენა იქონია მუნიციპალიტეტის შემოსავლების როგორც ფორმირებაზე ასევე მის სტრუქტურაზე. კერძოდ:

დეცენტრალიზაციის სტრატეგიის ფარგლებში განხორციელდა ცვლილებები საბიუჯეტო კოდექსსა და ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში, რომლის მიხედვითაც შეიცვალა მუნიციპალიტეტების დაფინანსების სისტემა, კერძოდ, მუნიციპალიტეტების აღარ მიეცემათ გათანაბრებითი ტრანსფერი, ასევე საშემოსავლო გადასახადის სხვადასხვა სახეებიდან მიღებული შემოსავლები მთლიანად მიიმართება სახელმწიფო ბიუჯეტში, მათ ნაცვლად მუნიციპალიტეტების დასაფინანსებლად მიიმართება დღგ-ს სახით მიღებული შემოსავლების 19,0%.

როგორც მონაცემებიდან ჩანს მუნიციპალიტეტის შემოსულობებში მნიშვნელოვანი ადგილო უჭირავს დამატებითი ღირებულების გადასახადიდან მიღებულ შემოსავლებს (42%), რომელმაც როგორც ზემოთ ავლინებთ, გასულ წელს განხორციელებული რეფორმის შედეგად, ჩაანაცვლა გათანაბრებითი ტრანსფერი და საშემოსავლო გადასახადი. უნდა აღინიშნოს, რომ გათანაბრებით ტრანსფერთან შედარებით დღგ-მ მნიშვნელოვნად გაზარდა მუნიციპალიტეტების შემოსავლები. კერძოდ, 2018 წლის მიხედვით გათანაბრებითი ტრანსფერიდან და საშემოსავლო გადასახადიდან მუნიციპალიტეტების ჯამურმა შემოსავლებმა 828,5 მლნ ლარი შეადგინა, ხოლო 2019 წელს დღგ-დან მუნიციპალიტეტების

შემოსავალმა შეადგინა - 995,4 მლნ ლარი (20%-იანი ზრდა). 2019 წლის მაჩვენებლების მიხედვით დღგ-დან მიღებული შემოსავლები საკუთარი შემოსულობების თითქმის ნახევარს 49%-ს, ხოლო მთლიანი შემოსულობების 37%-ს შეადგენს.

მარტივად აღსაქმელად, ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულების ბიუჯეტის შემოსავლის წყაროები ჩვენ პირობითად შეგვიძლია დავყოთ 3 ნაწილად:


საგადასახადო შემოსავლები - ჩვენს მიერ ზემოთ აღწერილი რეფორმის მიხედვით 2019 წლის 1 იანვრიდან შემოსავლის ეს წყარო მოიცავს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ქონების გადასახადის 100%-ს და დამატებითი ღირებულების გადასახადის ნაწილს, რომლიც გამოთვლაც ხდება სპეციალური ფორმულით სადაც მონაწილეობს მუნიციპალიტეტის სხვადასხვა სტატისტიკური მაჩვენებლები; შემოსავლის ეს წყარო მუნიციპალიტეტის საკუთარ შემოსავლებს მიეკუთვნება.

გრანტები (ტრანსფერები) - საერთაშორისო ორგანიზაციები და მთავრობების მიერ გამოყოფილ გრანტები. ასევე, სხვა დონის ბიუჯეტიდან გამოყოფილ ტრანსფერები. მათ შორის, მიზნობრივი, სპეციალური და კაპიტალ ტრანსფერები (2019 წლიდან აღარ არსებობს გათანაბრებითი სტრანსფერი). შემოსავლის ამ წყაროდან მისაღები თანხებიდან მუნიციპალიტეტის არასაკუთარ შემოსავლებს მიეკუთვნება.

სხვა დანარჩენი შემოსავლები - საბიუჯეტო კლასიფიკაციის შესაბამისად ბიუჯეტის სხვა შემოსავლებს მიეკუთვნებული შემოსავლები (მაგ. მოსაკრებლები, ჯარიმები, დივიდენდები, ლიცენზიები და ა.შ.), კაპიტალური შემოსავლები (შემოსავლები პრივატიზაციიდან), ფინანსური აქტივების (ნათშის გამოყენება, სესხის დაბრუნება) და ვალდებულებების (საგარეო ან საშინაო სესხის აღება) ცვლილებით მიღებული შემოსავლები. შემოსავლის ამ წყაროდან მისაღები თანხებიდან მუნიციპალიტეტის საკუთარ შემოსულობებს მიეკუთვნება საბიუჯეტო კლასიფიკაციით კლასიფიცირებული სხვა შემოსავლებიდან, კაპიტალური შემოსავლებიდან და ფინანსური აქტივების ცვლილებიდან (ძირითად შემთხვევებში) მისაღები თანხები.

შემოსავლების ზემოაღნიშნული კლასიფიცირების მიხედვით გრაფიკ #4-ზე მოცემულია 2019 წელს, ჯამურად მუნიციპალიტეტების ბიუჯეტებში ჩარიცხული თანხები და მათი პრიპორცია.

მუნიციპალიტეტების 2019 წლის ნაერთი შემოსავლები ძირითადი წყაროების მიხედვით (თანხა მლნ ლარში)



საქართველოს საბიუჯეტო სისტემის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტები

საქართველოში დღეს მოქმედი საბიუჯეტო სისტემა რეგულირდება სხვადასხვა საკანონმდებლო ნორმატიული აქტით. სახელმწიფო ბიუჯეტის მიღებისთანა დაკავშირებული დებულებები ასევე გაწერია საქართველოს კონსტიტუციის მე-6 თავში. საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობების კოდექსი“-ს მე-5 კარი მთლიანად შედგება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტისა და ეკონომიკური საფუძვლების დებულებებისაგან. ასევე, ამავე ორგანული კანონის გარდამავალი დებულებები არეგულირებს მუნიციპალიტეტის ფინანსებთან დაკავშირებულ რიგ საკითხებს.

ქვეყანაში საბიუჯეტო მოწყობის ძირითად და საკვანძო საკითხები მოწესრიგებულია საქართველოს კანონით „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“-თ. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი მიღებული იქნა 2009 წელს და ძალაში შევიდა 2010 წლის 1 იანვრიდან. საბიუჯეტო კოდექსმა ბევრ სხვა სიახლესთან ერთად გააერთიანა სხვადასხვა დონის ბიუჯეტების

მარეგულირებელი საკანონმდებლო აქტები, რომლებიც მანამდე რამოდენიმე კანონით იყო დარეგულირებული. შედეგად საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის ამოქმედებისთანავე, სხვა კანონებთან ერთად, გაუქმდა „საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ“, „შემოსულობების ბიუჯეტებს შორის განაწილების შესახებ“ და „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონები.

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი შედგება ექვსი კარისაგან. მათ შორის, პირველი, მეორე და მეექვსე კარი საერთოა ბიუჯეტებისთვის და შესაბამისად, ადგენს ნორმებს ყველა დონის ბიუჯეტისთვის. კოდექსის მე-3 კარით დარეგულირებულია სახელმწიფო ბიუჯეტთან დაკავშირებული საკითხები, მე-4 კარი ადგენს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საბიუჯეტო წესებსა და პროცედურებს, ხოლო მე-5 კარში მოცემულია ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტთან დაკავშირებული საკითხები.

გარდა აღნიშნული საკანონმდებლო აქტებისა ქვეყნის საბიუჯეტო სისტემის შემადგენელი საკანონმდებლო აქტებია „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“, „სახელმწიფო აუდიტის შესახებ“, „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“, „ბურალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“, „ყოველწლიური სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონები და სხვა.

ქვეყანაში საბიუჯეტო სისტემას, გარდა ზემოაღნიშნული საკანონმდებლო აქტებისა, ასევე არეგულირებს კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები, ამ აქტებით დამტკიცებული მეთოდოლოგიები. ასევე, საბიუჯეტო პროცესის მიმდინარეობისას ყოველწლიურად გამოიცემა კანონქვემდებარე ინდივიდუალური აქტები, რომლებიც გამომდინარეობს შესაბამისი ნორმატიული აქტებიდან.

საბიუჯეტო სისტემის მარეგულირებელი კანონქვემდებარე აქტებიდან უნდა გამოიყოს საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებები „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის დამტკიცების თაობაზე“ და „პროგრამული ბიუჯეტი შედგენის მეთოდოლოგიის დამტკიცების თაობაზე“. ეს ორი ბრძანება არეგულირებს როგორც სახელმწიფო დონეზე საბიუჯეტო მოწყობის საკითხებს, ასევე, ავტონომიური და ადგილობრივი ბიუჯეტების შედგენისა და აღსრულების წესებსა და პროცედურებს.

„საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით კლასიფიცირდება ბიუჯეტში მისაღები და ბიუჯეტიდან გასაცემი ფულადი ნაკადები. დამტკიცებული კლასიფიკაცია ეფუძნება და შესაბამისია საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ დაწესებულ საერთაშორისო სტანდარტებთან. იგი ერთიანია საქართველოს ყველა დონის ბიუჯეტისათვის. კლასიფიკაციით განსაზღვრულია თუ როგორი ფორმა უნდა ჰქონდეს ბიუჯეტის ბალანსს, მოცემულია დეტალური მეთოდური მითითებები ბიუჯეტის შემოსულობების და გადასახდელების სწორი აღრიცხვა-ანგარიშგებისთვის.

ბიუჯეტის პროგრამული ფორმატით შემუშავება ადგილობრივი თვითმმართველობებისათვის სავალდებულო გახდა 2013 წლიდან. სწორედ საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება „პროგრამული ბიუჯეტი შედგენის მეთოდოლოგიის დამტკიცების თაობაზე“ ადგენს იმ წესებსა და ფორმას, თუ რა პერიოდში და რა სტრუქტურით უნდა განხორციელდეს წლიური ბიუჯეტის პროექტის მომზადება, დამტკიცება, აღსრულება და ანგარიშგება. მეთოდოლოგია ადგენს როგორც ზოგად დებულებებს, რომლებიც საერთოა ყველა დონის ბიუჯეტისათვის, ასევე ცალ-ცალკე, თითოეული დონის ბიუჯეტისათვის, განსაზღვრავს ბიუჯეტის და მისი პროგრამების შედგენის დეტალურ ფორმატებს.

გასულ 2018 წელს განახლდა მეთოდოლოგიის ის ნაწილი, რომელიც არეგულირებს ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველობების საბიუჯეტო საკითხებს. ჩვენს შემთხვევაში საგულისხმოა სიახლეები რომლებიც დაადგინა განახლებულმა მეთოდოლოგიამ და რომლებიც მუნიციპალიტეტებისათვის სავალდებულო გახდება 2020 წლის ბიუჯეტის მომზადების პროცესიდან. ესენია:

- მეტი აქცენტი კეთდება პრიორიტეტების დოკუმენტის სწორ შემუშავებაზე
- აუცილებელი ხდება მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი სამუშაო გეგმის შემუშავება
- დეტალურად გაიწერა ბიუჯეტის ფორმატი და სტრუქტურა
- დაზუსტდა ბიუჯეტის თანმდევი დოკუმენტები და მათი შედგენის ფორმატი - პროგრამული და კაპიტალური ბიუჯეტები, ააიპ-ების ბიუჯეტები
- დაკონკრეტდა და უფრო მკაფიოდ გაიწერა ბიუჯეტის პროექტის მომზადების ფაზები და კალენდარი
- განისაზღვრა პროგრამების/ქვეპროგრამების/დონისძიებების შედგენის ფორმები
- ცალკე გამოიყო და დადგინდა მართვისა და რეგულირების ტიპის პროგრამების გაანგარიშების მეთოდიკა
- განისაზღვრა ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის ფორმების სტრუქტურა

საბიუჯეტო პროცესი თვითმმართველობაში

თვითმმართველობების ბიუჯეტის პროექტის მომზადების, საკანონმდებლო ორგანოსათვის წარდგენის და დამტკიცების პროცედურები რეგულირდება საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის XII თავით. ბიუჯეტის პროექტის მომზადების პროცესს კოორდინაციას უწევს მუნიციპალიტეტის საფინანსო ორგანო, რომელიც ამ პროცესში ხელმძღვანელობს მოქმედი კანონმდებლობითა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ გამოცემული შესაბამისი

მეთოდური მითითებებით. მუნიციპალური ბიუჯეტის მომზადების, შედგენის, დამტკიცებისა და ანგარიშგების პროცესის მოკლე აღწერა მოცემულია გრაფიკ #5-ზე.


გრაფიკი #5



ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი 2011-2021 წლებში

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მოცულობა 2011-2021 წლებში ზრდადი დინამიკით ხასიათდება (გრაფიკი #6).

გრაფიკი #6



* 2010-დან 2019 წლის ჩათვლით მოცემულია ფაქტიური, ხოლო 2020 წელს გეგმიური მაჩვენებლები

ბიუჯეტის სიდიდეების განხილვისას კიდევ ერთხელ უნდა აღინიშნოს, რომ 2021 წლის ბიუჯეტის პროექტი არ ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილ კაპიტალურ სტრანსფერს და საბიუჯეტო ნაშთს. უნდა ვივარაუდოდ, რომ 2021 წლის ბიუჯეტის მოცულობა მნიშვნელოვნად გაიზრდება კაპიტალური ტრანსფერის გამოყოფისა და ბიუჯეტში წლის ბოლოს არსებული ნაშთის ასახვის შემდგომ.


ბოლო 5 წლის მიხედვით (2015-2020 წლები ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის წილი იმერეთის რეგიონის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების ჯამურ მოცულობაში 23%-დან 33%-ის ფარგლებში მერყეობს. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ქვეყნის ნარეთ ბიუჯეტში ქუთაისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის წილი უმნიშვნელოა და იგი მისი მოცულობა 0,4%-ის ფარგლებშია.

2011-დან 2020-წლამდე პერიოდში ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ზრდამ ნომინალურ გამოხატულებაში 27,3 მლნ ლარი შეადგინა, რაც პროცენტულ მაჩვენებლებში 56%-ია (2011 წელს 48,0 მლნ და 2020 წელს 75,3 მლნ ლარი). ჯამში 2011-დან 2020 წლის ჩათვლით ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გაწეულია 617,8 მლნ ლარი ხარჯი, რაც საშუალოდ წელიწადში 61,8 მლნ ლარია.

ქ. ქუთაისის მუნიციპალური ბიუჯეტის გადასახდელების (ასიგნებების) ყოველწლიურმა საშუალო ზრდამ ბოლო 10 წლის განმავლობაში შეადგინა 6% (გრაფიკი #7), რაც 1%-ით ნაკლებია საქართველოს მუნიციპალიტეტების საშუალო ჯამურ მაჩვენებელზე (7%) და 9%-ით ნაკლებია იმერეთის რეგიონის მუნიციპალიტეტების ჯამურ მაჩვენებელზე (15%).

გრაფიკი #7

ბიუჯეტის ზრდის საშუალო ტემპი 2011-2020 წლებში




ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტი

ბიუჯეტის შემოსულობები

ჩვენ განვიხილავთ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობებს 2019-2021 წლების მიხედვით, წარმოვადგენთ მათ სიდიდეებს, წილს მთლიან შემოსულობებში და დინამიკას ბოლო 3 წლის მიხედვით.

გრაფიკი #8




ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის შემოსულობების განხილვისას პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ 2021 წლის ბიუჯეტის პროექტის მაჩვენებლები არ მოიცავს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილ ტრანსფერებს. მათ შორისაა, რეგიონების განვითარების ფონდიდან გამოსაყოფილი ტრანსფერები ინფრასტრუქტურული პროექტებისათვის და განათლების ღონისძიებების დაფინანსებისათვის გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერები. ამ ტრანსფერების გამოყოფის შემდგომ 2021 წლის მაჩვენებელი გაუტოლდება გასული 2 წლის მაჩვენებელს.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლების სტრუქტურამ მნიშვნელოვანი ცვლილება განიცადა 2019 წელს. აღნიშნული უკავშირდებოდა 2019 წლის 1 იანვრიდან საბიუჯეტო კოდექსში ამოქმედებულ ცვლილებას, რომლიც მიხედვითაც, ერთის მხრივ, გაუქმდა გათანაბრებითი ტრანსფერი, ასევე, საშემოსავლო გადასახადის ის სახეები რომლებიც გასულ წლებში ირიცხებოდა ადგილობრივ ბიუჯეტებში აღარ ირიცხება მუნიციპალურ ბიუჯეტებში. ხოლო მეორეს, მხრივ ამოქმედდა გადასახადების განაწილების პრინციპი (ე.წ. Tax share), რომლიც მიხედვითაც ადგილობრივ ბიუჯეტებში ჩაირიცხება დამატებითი

ღირებულების გადასახადიდან მობილიზებული თანხის 19%. ამ თანხის განაწილება მუნიციპალიტეტების მიხედვით ხორციელდება ასევე საბიუჯეტო კოდექსით დადგენილი წესით.


გრაფიკი #9

ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2019-2021 წლების ბიუჯეტი, შემოსულობების წყაროების მიხედვით



გრაფიკი #10

ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2019-2021 წლების ბიუჯეტის შემოსავლის წყაროების წილი მთლიან შემოსულობებში




საგადასახადო შემოსავლების ამ რეფორმის მიხედვით ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტმა დამატებითი ღირებულების გადასახადიდან უნდა მიიღოს 30,6 მლნ ლარი,

რაც ქონების გადასახადთან ერთად ჯამში 39,3 მლნ ლარი შეადგინა. შესაბამისად, საგადასახადო შემოსავლების წილმა ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის მთლიან შემოსავლების 55,7% შეადგინა. წინა წლებთან შედარებით მთლიან შემოსავლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა საგადასახადო შემოსავლების წილი, რაც დადებითი მოვლენაა მუნიციპალიტეტისათვის მხრივ, რომ საგადასახადო შემოსავლები პირდაპირ უკავშირდება ქვეყნის ეკონომიკის ზრდას და მასთან ერთად იზრდება. ანუ მშპ-ს ზრდის პარალელურად მოსალოდნელია მუნიციპალური ბიუჯეტების და მათ შორის ქუთაისის მუნიციპალიტეტის შემოსავლების ზრდაც.

ვინაიდან 2021 წლის ბიუჯეტის პროექტი ამ ეტაპისათვის არ ითვალისწინებს წლის განმავლობაში მისაღები ტრანსფერების მნიშვნელოვან ნაწილს, გრაფიკ #11-ზე ანალიზისათვის წარმოდგენილი 2020 წლის ბიუჯეტის ტრანსფერების შემადგენლობა, მათ შორის, დონორი ორგანიზაციების გრანტი.


გრაფიკი #11

ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის ტრანსფერები



სხვა შემოსავლები და კაპიტალური შემოსავლების ქუთაისის 2021 წლის ბიუჯეტის მთლიან შემოსავლებში შემდეგი წილობრივი მაჩვენებლით არის წარმოდგენილი: სხვა შემოსავლები - 15,0% (8,810.0 ათასი ლარი), არაფინანსური აქტივების კლება - 5,7% (4,000.0 ათასი ლარი). ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის პროექტის სხვა შემოსავლების სტრუქტურა მოცემულია გრაფიკ #12-ზე:

ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები




ნაშთის ცვლილება

ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის პროექტის არსებული რედაქცია გადასახდელების დაფინანსებისათვის ნაშთის გამოყენებას არ ითვალისწინებს

ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2019-2021 წლების ბიუჯეტების შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება განსაზღვრულია შემდეგნაირად:


ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ნაშთის ცვლილება 2019-2021 წლებში



ბიუჯეტის გადასახდელები პროგრამების და პრიორიტეტების მიხედვით


ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის პროექტის გადასახდელები (15 ნომბრის მდგომარეობით) განსაზღვრულია 58,6 მლნ ლარით (გრაფიკი #14).

გრაფიკი #14




გრაფიკებში #15-#16 მოცემულია 2019-2021 წლებში ქუთაისის მუნიციპალიტეტის ასიგნებები (მთლიანი ხარჯები) პრიორიტეტების მიხედვით, როგორც ნომინალურ გამოხატულებაში, ასევე თითოეული პრიორიტეტი პროცენტულად მთლიან ხარჯთან. ხოლო გრაფიკზე #17 ანალოგიური მაჩვენებლები ჯამურად ბოლო 3 წლის მიხედვით (2019-2021 წლები).


გრაფიკი #15



ქუთაისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები პრიორიტეტების მიხედვით
(2019-2021 წლებში. %-ულად მთლიან ხარჯებში)



ქუთაისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები 2019-2021 წლებში
(ათას ლარებში და %-ში)




2021 წლის ბიუჯეტის პროექტში პრიორიტეტების მიხედვით ასიგნებები გადანაწილებულია შემდეგნაირად:

ათას ლარში

ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის პრიორიტეტები	გეგმა ათას ლარებში
წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	9,923.0
ინფრასტრუქტურის განვითარება	8,400.2
დასუფთავება და გარემოს დაცვა	6,509.7
განათლება	12,253.0
კულტურა, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები	14,964.5
ჯანმრთელობისა დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	5,156.1
ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა	1,380.0
სულ ასიგნებები	58,586.5

გრაფიკი #18




ინფორმაცია ყველა ზემოაღნიშნულ პრიორიტეტზე და მასში შემავალი პროგრამების და ქვეპროგრამების შესახებ წარმოდგენილია შემდგომ თავებში.

მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები

მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯების პრიორიტეტის დაფინანსებისათვის ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის პროექტის გათვალისწინებულია 3,423.9 ათასი ლარი, რაც ბიუჯეტის მთლიანი ასიგნებების 12,4%-ს შეადგენს. 2019-2021 წლებში პრიორიტეტის ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებების მოცულობა და მათი შეფარდება მთლიან გადასახდელებთან წარმოდგენილია გრაფიკ #19-ზე.


გრაფიკი #19



2021 წელს გამოყოფილი ასიგნებებიდან ფინანსდება შემდეგი ხარჯები:


წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები	2021 წელი
საკრებულო	1,325.0
მერია	5,567.0
სამხედრო აღრიცხვის სამსახური	241.0
სარეზერვო ფონდი	700.0
ვალდებულებების მომსახურება (მ.გ.ფ.)	865.0
ააიპ ქალაქ ქუთაისის არქიტექტურის, ურბანული დაგეგმარებისა და ძეგლთა დაცვის სააგენტო	370.0
სხვა პროგრამები	855.0

მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯების პრიორიტეტის ასიგნებების წილობრივი მაჩვენებლები მოცემულია გრაფიკ #20-ზე.



ინფრასტრუქტურის განვითარება


ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის ასიგნებების 14% გამოყოფილია ინფრასტრუქტურის განვითარების პრიორიტეტის დაფინანსებაზე, რაც ნომინალურ გამოხატულებაში 8,400.0 ათას ლარს შეადგენს. აღნიშნული თანხები მთლიანად წარმოადგენს ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საკუთარ შემოსულობებს. კიდევ ერთხელ ავლნიშნავთ, რომ 2021 წლის ბიუჯეტის პროექტის წარმოდგენილი ვარიანტი არ ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ინფრასტრუქტურული პროექტებისათვის გამოსაყოფ კაპიტალურ ტრანსფერს. 2019-2021 წლებში პრიორიტეტის ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებების მოცულობა და მათი შეფარდება მთლიან გადასახდელებთან წარმოდგენილია გრაფიკ #21-ზე.



2021 წლის ბიუჯეტის პროექტით პროორიტეტის ფარგლებში ფინანსდება შემდეგი პროგრამები:

ათასი ლარი

ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	8,400.2
საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	1,430.0
გარე განათება	3,020.2
მშენებლობა, ავარიული ობიექტებისა და შენობების რეაბილიტაცია	800.0
ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება	770.0
ქალაქის კეთილმოწყობა	1,220.0
მუნიციპალური ტრანსპორტის განვითარება	160.0
საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო სამუშაოების პროგრამა	600.0
საპროექტო დოკუმენტაციისა და საშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურება	400.0



საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამა - ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელი წლების მანძილზე ქალაქში აქტიურად ხორციელდება მასშტაბური სამუშაოები ინფრასტრუქტურის მოწესრიგების კუთხით, გრძელვადიანი საჭიროებებიდან გამომდინარე, მაინც არის მნიშვნელოვანი სამუშაოების განხორციელების აუცილებლობა. ქალაქის ქუჩების ზოგიერთი ნაწილი საჭიროებს კაპიტალურ რეაბილიტაციას, ასევე, მიმდინარე შეკეთებით სამუშაოებს ითხოვს ბოლო წლების მანძილზე რეაბილიტირებული ქუჩების ნაწილი. ქალაქში საგზაო მოძრაობის ხარისხის გაუმჯობესების, საგზაო მოძრაობის ორგანიზებისა და უსაფრთხოების, სატრანსპორტო და ქვეითთა ნაკადის უსაფრთხოდ გადაადგილების მიზნით, საჭიროა საგზაო ინფრასტრუქტურის ეტაპობრივი მოწესრიგება. საჭიროა ცენტრალურ და მეორეხარისხოვან გზებამდე მისასვლელი გზების რეაბილიტაცია, შესაკეთებელი და სარეაბილიტაციოა სანიაღვრე არხები. პროგრამა შედგება შემდეგი 4 ქვეპროგრამისგან:

- ✓ გზების და ტროტუარების კაპიტალური შეკეთება
- ✓ გზების და ტროტუარების მიმდინარე შეკეთება
- ✓ სანიაღვრე სისტემის რეაბილიტაცია-მშენებლობა
- ✓ საგზაო ნიშნები და უსაფრთხოება

გარე განათების პროგრამა - ღამის პერიოდში მუნიციპალიტეტში მოსახლეობის (განსაკუთრებით ქალებისა და ბავშვების) უსაფრთხო და კომფორტული გარემოს შექმნისთვის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია გარე განათებას, შესაბამისად საჭიროა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული გარე განათების ქსელის გამართული ფუნქციონირება. დღეის

მდგომარეობით, გარე განათების ქსელი ფუნქციონირებს დასახლებული ტერიტორიის 100%-ზე.

მშენებლობა, ავარიული ობიექტებისა და შენობების რეაბილიტაციის პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალური სერვისების მოსახლეობისათვის ხელმისაწვდომობას, მათთან მარტივ კომუნიკაციას, ასევე, სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის საბინაო - საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას, ამჟამად, აღრიცხვაზეა მრავალი ავარიული საცხოვრებელი სახლი, რომელსაც ესაჭიროება გადახურვა.

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების პროგრამის ფარგლებში უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტის თანამონაწილეობით ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების საკუთარი და საერთო საკუთრების მოვლა-პატრონობა. თანადაფინანსების პრინციპით განხორციელებული პროექტებითა და ღონისძიებებით მუნიციპალიტეტი აქტიურად ეხმარება მოსახლეობას მნიშვნელოვნად გააუმჯობესოს საცხოვრებელი გარემო და ქმნის ხელსაყრელ პირობებს სამოქალაქო საზოგადოების განვითარებისათვის.

ქალაქის კეთილმოწყობის პროგრამის მიზანია ქალაქში მნიშვნელოვანი და აუცილებელი კეთილმოწყობის ღონისძიებების სრულყოფილად და ეფექტურად განხორციელება; ქალაქის მიმზიდველობის გაზრდისათვის ტურისტული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება; სხვადასხვა ქალაქაგორმებითი ღონისძიებების მოწყობა კონკრეტული ღონისძიების სპეციფიკისა და მისი ჩატარების ადგილმდებარეობის გათვალისწინებით; ადმინისტრაციული ერთეულების მიხედვით ისეთი სხვადასხვა სახის ლოკალური პრობლემების აღმოფხვრა, რომლებიც წლების განმავლობაში მოუგვარებელია და ასახვა ვერ ჰპოვა ბიუჯეტში.


მუნიციპალური ტრანსპორტის განვითარების პროგრამის მიზანია ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში, მუნიციპალური სატრანსპორტო სისტემის შექმნა, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს მოსახლეობის სწრაფ, უსაფრთხო და კომფორტულ გადაადგილებას.

საპროექტო დოკუმენტაციისა და სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურების პროგრამის ფარგლებში სამშენებლო სამუშაოების ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ორგანიზაციისა და სპეციალისტების მომსახურების შეძენა

დასუფთავება და გარემოს დაცვა

ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის პროექტის ასიგნებების 11% გამოყოფილია დასუფთავების და გარემოს დაცვის პრიორიტეტის დაფინანსებაზე, რაც ნომინალურ გამოხატულებაში 6,509.7 ათას ლარს შეადგენს. 2019-2021 წლებში პრიორიტეტის ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებების მოცულობა და მათი შეფარდება მთლიან გადასახდელებთან წარმოდგენილია გრაფიკ #23-ზე.

გრაფიკი #23



ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის პროექტის მიხედვით დასუფთავების და გარემოს დაცვის პრიორიტეტიდან ფინანსდება შემდეგი პროგრამები:

ათასი ლარი

03 00	გარემოს დაცვა	6,509.7
03 01	ქალაქის დასუფთავება და ნარჩენების გატანა	5,000.0
03 02	მწვანე ნარგავების მოვლა - პატრონობა, განვითარება	1,141.1
03 04	უპატრონო ცხოველების ოპერირება	368.6


პრიორიტეტის განხორციელებით საგრძნობლად გაუმჯობესდება ქალაქის ეკოლოგიური მდგომარეობა, ქალაქისათვის აუცილებელ და მნიშვნელოვან საზრუნავს წარმოადგენს მისი დასუფთავება, უპატრონო ცხოველებისაგან იზოლირება და ხეების გადაბეღვა, მცენარეთა ფიტოსანიტარული მდგომარეობა, ქალაქის მოსახლეობის დასვენების პირობები. მწვანე საფარის მოვლა-პატრონობა, მწვანე ნარგავებით ტერიტორიების შევსება და მათი შენარჩუნება საშუალებას იძლევა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდეს ქალაქის ეკოლოგიური მდგომარეობა.

ქალაქის დასუფთავება და ნარჩენების გატანის პროგრამის ფარგლებში ხორციელდება:

- ✓ მუნიციპალიტეტის ტერიტორიის და ადმინისტრაციული შენობების დაგვა, დასუფთავება, მორწყვა/მორეცხვა, ზამთრის სეზონთან დაკავშირებით ქუჩების გაწმენდა და საზოგადოებრივი ტუალეტების მომსახურება
- ✓ მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან ნარჩენების გატანა
- ✓ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ღვარსადენების მოვლა-ექსპლუატაცია და კაპიტალური შეკეთება, სეზონურად მაღალი ბალახების ჩათიბვა
- ✓ მუნიციპალიტეტის დასუფთავებასთან დაკავშირებული სხვა სამუშაოები

გრაფიკი #24

დასუფთავების და გარემოს დაცვის პრიორიტეტის პროგრამები. 2021 წელი




მწვანე ნარგავების მოვლა - პატრონობა, განვითარების პროგრამის პროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული პარკებისა და სკვერების მოვლა-პატრონობა, კერძოდ, ხორციელდება ნარგავების მოვლა, ნიადაგის მომზადება, ერთწლიანი და მრავალწლიანი ნარგავების დარგვა, მორწყვა, შეწამვლა და საჭიროების შემთხვევაში შხამქიმიკატების შეტანა.

უპატრონო ცხოველების მოვლითი ღონისძიებების ფარგლებში, მოსახლეობის უსაფრთხოების დაცვის მიზნით, ხორციელდება ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში არსებული მაწანწალა ძაღლების თავშესაფარში გადაყვანა

განათლება

ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის პროექტი განთლების პრიორიტეტის დაფინანსებისათვის ითვალისწინებს 12,253.0 ათასი ლარს. პრიორიტეტის დაფინანსება ბოლო 3 წლის განმავლობაში წარმოდგენილია გრაფიკ #25-ზე. 2021 წლის ბიუჯეტის პროექტის (15 ნოემბრის მდგომარეობით) მონაცემები წინა წლებისგან განსხვავებით არ ითვალისწინებს ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსებას.

გრაფიკი #25



განათლების პრიორიტეტის ფარგლებში 2021 წელს ბიუჯეტიდან გათვალისწინებულია შემდეგი პროგრამების დაფინანსება:

განათლების პრიორიტეტის დაფინანსება 2019-2021 წლებში (ათასი ლარი)

	2019	2020	2021
სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება	11,039.2	10,805.8	12,080.0
საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის განვითარება	2,016.5	4,794.7	0.0
განათლების ღონისძიებები	145.5	86.5	173.0
განათლება	13,201.2	15,687.0	12,253.0


სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირების პროგრამის ფარგლებში ფინანსდება ქალაქ ქუთაისის ბაგა - ბაღების გაერთიანება და მასში შემავალი ფილიალები წარმოადგენს სასწავლო - სააღმზრდელო დაწესებულებებს, რომლებიც ხელმძღვანელობს საქართველოს კანონით, რომლის მთავარი დანიშნულებაა საფუძველი ჩაუყაროს ბავშვის ფიზიკურ, გონებრივ, ზნეობრივ და ესთეტიკურ განვითარებას. ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს 37 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება, სადაც აღსაზრდელთა რაოდენობა დაახლოებით 10,0 ათასი ბავშვია.

განათლების ღონისძიებების პროგრამა გულისხმობს ქალაქ ქუთაისში საგანმანათლებლო პროცესის მონაწილეთა მოტივაციის ამაღლებას, საგანმანათლებლო დაწესებულებებთან კოორდინირებულ თანამშრომლობას, მოზარდთა შემეცნებით-საგანმანათლებლო დონის ამაღლებას, არაფორმალური განათლების პოპულარიზაციას, ქუთაისის განათლების სფეროს წარმომადგენელთა წახალისებასა და მოსწავლეთა საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობის ხელშეწყობას.

კულტურა, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები

პრიორიტეტის დაფინანსებისათვის ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის პროექტი ითვალისწინებს 14,964.5 ათასი ლარის გამოყოფას, რაც ბიუჯეტის მთლიანი ასიგნებების 25.5%-ია.

გრაფიკი #26




პრიორიტეტის ფარგლებში 2021 წლის ბიუჯეტის პროექტიდან გათვალისწინებულია შემდეგი 3 ძირითადი პროგრამის დაფინანსება:

კულტურა, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები	ათასი ლარი
სპორტის სფეროს განვითარება	7,540.5
კულტურის სფეროს განვითარება	7,209.0
საზოგადოებრივი და ახალგაზრდული ორგანიზაციების ხელშეწყობა	215.0
სულ	14,964.5

პრიორიტეტზე გამოყოფილი ასიგნებების დიდი ნაწილი მოდის სპორტის და კულტურის განვითარების ხელშეწყობის პროგრამებზე. ამ 2 პროგრამის ჯამური დაფინანსება მთლიანი პრიორიტეტის 98%-ია. მათ შორის, სპორტის სფეროს განვითარებაზე იხარჯება 7,540.5 ათასი ლარი (50%), ხოლო კულტურის სფეროს განვითარებაზე 7,209.0 ათასი ლარი (48%) (გრაფიკი #27).

გრაფიკი #27

კულტურა, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები



სპორტის განვითარების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში (7,540.5 ათასი ლარი) ფინანსდება შემდეგი 7 ქვეპროგრამა:

სპორტის განვითარების ხელშეწყობა	ათასი ლარი
სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანების ხელშეწყობა	4,100.0
კალათბურთის განვითარება	1,000.0
ხელბურთის განვითარება	200.0
ქალთა ფეხბურთის განვითარება	150.0
რამაზ შენგელიას სახელობის სტადიონის ფუნქციონირების ხელშეწყობა	280.0

სპორტული ღონისძიებების დაფინანსება	1,240.5
სხვადასხვა სახეობის სპორტულ - გამაჯანსაღებელი და დასასვენებლად განკუთვნილი ობიექტების მოწყობა, რეაბილიტაცია, ექსპლუატაცია	570.0
სულ	7,540.5


სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანების ხელშეწყობა - ქვეპროგრამის მიზანია: სპორტული ფილიალების ფუნქციონირების ხელშეწყობა, სპორტული ინვენტარის შეძენა და თანამედროვე სტანდარტებთან მიახლოება, სპორტსმენთა კვებით უზრუნველყოფა, შეკრებებისა და მივლინებების განხორციელება, პერსპექტიული სპორტსმენების მომზადების წლიური საწვრთნელი პროცესის ორგანიზება და ნაკრები გუნდებისათვის მომზადება, სხვადასხვა შეჯიბრებებისა და სახელობითი ტურნირების ჩატარება. გაერთიანება განაწილებულია 15 ფილიალად, რომელშიც წარმოდგენილია 41 სპორტის სახეობა. ყოველწლიურად თვალშისაცემია სხვადასხვა სახეობებში სპორტსმენების შედეგები, რაც ქალაქისათვის, როგორც ქვეყნის მასშტაბით, ასევე, საერთაშორისო ასპარეზზე, მნიშვნელოვან წარმატებებს განაპირობებს.

კალათბურთის განვითარება - კალათბურთის გუნდის ფუნქციონირების ხელშეწყობა, ქვეყნის ჩემპიონატისა და სხვადასხვა სახელობის ტურნირებზე მონაწილეობის მიღება, ახალგაზრდული გუნდის ხელშეწყობა.

ხელბურთის განვითარება ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელება: ააიპ „ქალაქ ქუთაისის ხელბურთის კლუბი „ქუთაისი 2015 - ის“ ფუნქციონირების ხელშეწყობა. საწვრთნელი-სავარჯიშო შეკრებები, სპორტსმენთა კვალიფიკაციის ამაღლება, ეროვნულ და საერთაშორისო სპორტულ ღონისძიებებზე ასპარეზობა, კლუბის ფუნქციონირებისათვის საჭირო ღონისძიებები.

გრაფიკი #28

სპორტის განვითარების ხელშეწყობის ქვეპროგრამები



ქალთა ფეხბურთის განვითარება ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელება: შპს „საფეხბურთო კლუბი „ქუთაისის მართვეს“ ფუნქციონირების ხელშეწყობა. საწვრთნელი-სავარჯიშო შეკრებები, სპორტსმენთა კვალიფიკაციის ამაღლება, ეროვნულ და საერთაშორისო სპორტულ ღონისძიებებზე ასპარეზობა.

რამაზ შენგელიას სახელობის სტადიონის ფუნქციონირების ხელშეწყობა - ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება რამაზ შენგელიას სახელობის სტადიონის ფუნქციონირების ხარჯების დაფინანსება. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან თანხები სუბსიდიის სახით მიეცემა მუნიციპალურ შპს „რამაზ შენგელიას სახელობის სტადიონს“, რომელიც შემდგომ ახორციელებს სტადიონის მოვლა-პატრონობის ღონისძიებებს. სუბსიდიის ხარჯები ხმარდება შპს-ს თანამშრომელთა ხელფასების, სტადიონის კომუნალური ხარჯების ანაზღაურებას, ბიუჯეტთან ანგარიშსწორებას (ქონების გადასახადი) და სტადიონის ფუნქციონირებისათვის სხვა აუცილებელი ხარჯების დაფინანსებას.

სპორტული ღონისძიებების დაფინანსება - ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობს სპორტის სხვადასხვა სახეობის განვითარებას, საერთაშორისო ხასიათის სპორტული ტურნირების ჩატარებას, ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაციას. ასევე, მოხდება წარმატებული სპორტსმენების წახალისება, ვეტერანი და დამსახურებული სპორტსმენების საიუბილეო თარიღების აღნიშვნა.

კულტურის განვითარების ხელშეწყობის პროგრამაზე ჯამში გამოყოფილია 7,209,0 ათასი ლარი, რომლის ფარგლებშიც ფინანსდება შემდეგი 4 ქვეპროგრამა:


კულტურის განვითარების ხელშეწყობა	ათასი ლარი
კულტურულ სახელოვნებლო, საგანმანათლებლო დაწესებულებათა გაერთიანების ხელშეწყობა	4410.0
ი. ჭავჭავაძის სახელობის ქუთაისის სამეცნიერო ბიბლიოთეკის ხელშეწყობა	850.0
ფოლკლორის განვითარების ხელშეწყობა	900.0
კულტურის ღონისძიებების დაფინანსება	1049.0
სულ	7,209.0

კულტურულ სახელოვნებლო, საგანმანათლებლო დაწესებულებათა გაერთიანების ხელშეწყობა - პროგრამა გულისხმობს ქალაქ ქუთაისში, კულტურულ, სახელოვნებო, საგანმანათლებლო დაწესებულებებში მომავალი თაობის შემეცნებით-საგანმანათლებლო ღონის ამაღლებას, გაერთიანებაში შემავალი ფილიალების მუშაობის გააქტიურებას. ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება 18 დაწესებულება. გაერთიანებაში შემავალ დაწესებულებებში სახელოვნებო განათლებას ჯამში 3400-ზე მეტი აღსასწრდელი იღებს.

ი. ჭავჭავაძის სახელობის ქუთაისის სამეცნიერო ბიბლიოთეკის ხელშეწყობა - ქალაქ ქუთაისის საჯარო ბიბლიოთეკა და ფილიალები წარმოადგენს მიმზიდველ, საინტერესო და ხელმისაწვდომ ადგილს საზოგადოებრივი თავშეყრისათვის, სადაც მოსახლეობა იღებს განათლებას, ინფორმაციას და ხელს უწყობს განათლებული სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებას.

ფოლკლორის განვითარების ხელშეწყობა - ქვეპროგრამიდან ფინანსდება ააიპ „ქალაქ ქუთაისის მერიის ფოლკლორის ცენტრი - სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი“. იგი წარმოადგენს დაწესებულებას, სადაც ხდება ხალხური შემოქმედების შენარჩუნება და განვითარება, ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული მემკვიდრეობის მოძიება და პოპულარიზაცია.

გრაფიკი #29



კულტურის ღონისძიებების დაფინანსება – მუნიციპალიტეტის მასშტაბით წლის მანძილზე ხორციელდება სხვადასხვა ხასიათის კულტურული ღონისძიებები, ფესტივალები, საერთაშორისო კულტურული აქტივობები, კულტურული დღეები, გაცვლითი გასტროლები, გამოფენები, კონკურსები და ფორუმები, ასევე, სხვადასხვა ლიტერატურული ნაშრომების გამოცემა და ქუთაისში მცხოვრები ნიჭიერი შემოქმედების მხარდაჭერა.

ახალგაზრდობის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ხორციელდება შემდეგი პროექტები:


- ლიდერთა ზამთრის სკოლა.
- ლიდერთა საზაფხულო სკოლა.
- ახალგაზრდობის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები.
- არაფორმალური განათლების ხელშეწყობა.
- ახალგაზრდული ინიციატივების მხარდაჭერა.

- სოციალურად დაუცველი და სპეციალური საჭიროების მქონე ახალგაზრდების მხარდაჭერა.
- საერთაშორისო პროექტებსა და კონფერენციებში ქუთაისელი ახალგაზრდების მონაწილეობის მხარდაჭერა.
- მოხალისეთა მხარდაჭერის პროგრამა.

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა


ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის პროექტი მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის ითვალისწინებს 5,156.1 ათასი ლარის გამოყოფას, რაც მთლიანი ბიუჯეტის ასიგნებების 8,8%-ს შეადგენს.

გრაფიკი #30



2021 წელს პრიორიტეტის საერთო დაფინანსების 73% მოდის სოციალური უზრუნველყოფის პროგრამებზე (3,780.9 ათასი ლარი), ხოლო ჯანმრთელობის დაცვის პროგრამებზე - 27% (1,375.2 ათასი ლარი).

ჯანმრთელობისა დაცვა და მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა



ჯანმრთელობის დაცვის ასიგნებებიდან (187,7 ათასი ლარი) ფინანსდება შემდეგი 5 პროგრამა:

ჯანმრთელობის დაცვის პროგრამები (ათასი ლარი)

საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა	229.2
მედიკამენტებით უზრუნველყოფა	250.0
სამედიცინო დახმარება	810.0
ეპიდემიის დაავადებულ პირთა ანტიკონვულსანტებით უზრუნველყოფა	70.0
ფენილკეტონურიით დაავადებულ პირთა დახმარება	16.0
სულ	1,375.2


საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა - ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება ქუთაისის მოსახლეობისათვის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის სერვისების მიწოდება და უსაფრთხო საცხოვრებელი გარემოს უზრუნველყოფა, გადამდებ დაავადებათა ეპიდემიოლოგიის და კონტროლი, პირველადი ეპიდკვლევის განხორციელება, იმუნოპროფილაქტიკის დაგეგმვა და მასზე ანგარიშგება დადგენილი წესის მიხედვით, ანტირაბიულ საქმიანობაზე ზედამხედველობა და კონტროლი, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადამდები ფაუნის შესწავლა და დადგენა, „ც“ ჰეპატიტის სკრინინგის განხორციელება, COVID-19 ის გავრცელების მართვა და ეპიდემიოლოგიის და კონტროლი, სამიზნე ჯგუფების ტესტირება და მონიტორინგი. სამედიცინო სტატისტიკის წარმოება და ანგარიშგება, საზოგადოებისათვის მნიშვნელოვან ობიექტებში სანიტარულ-ჰიგიენურ მდგომარეობაზე ზედამხედველობა.

მედიკამენტებით უზრუნველყოფა - ქვეპროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარებს მიეკუთვნებიან: ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული და სოციალურად დაუცველი ოჯახების

მონაცემთა ერთიან ბაზაში დაფიქსირებული 65000-მდე სარეიტინგო ქულის მქონე პირები; ნათესაურ და არანათესაურ მინდობაში მყოფი შშმ ბავშვები; ომისა და სამხედრო ძალების შშმ ვეტერანები, რომლებსაც ჰყავთ 3 და მეტი შვილი ან მიეკუთვნებიან 65 წელს ზემოთ ასაკის პირებს, ჰემოდიალიზზე მყოფი პაციენტები და მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობის (ნულოვანი მხედველობის) მქონე პირები. აღნიშნული ქვეპროგრამით არ დაფინანსდება ის მედიკამენტები, რომელიც გათვალისწინებულია ქრონიკული დაავადებების სამკურნალო მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამის ფარგლებში.

გრაფიკი #32

ჯანმრთელობის დაცვის პროგრამები



სამედიცინო დახმარება - პროგრამის ფარგლებში ფინანსდება ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული პირებისათვის სამედიცინო მომსახურების, როგორც დიაგნოსტიკის, ასევე შემდგომი მკურნალობის ხარჯების ანაზღაურებაში დახმარება. დახმარებით ისარგებლებენ ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული პირები სამედიცინო მომსახურებით, როგორც დიაგნოსტიკის, ასევე შემდგომი მკურნალობის ხარჯების ანაზღაურებაში დახმარებით.

ეპილექსიით დაავადებულ პირთა ანტიკონვულსანტებით უზრუნველყოფა - ქვეპროგრამით მოსარგებლე პირები არიან ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული ეპილექსიით დაავადებული პირები. დახმარების მიღება მოხდება ვაუჩერისა და დანართის გამოყენებით, რომლის მოცულობა განისაზღვრება ყოველთვიურად, თითოეულ ბენეფიციარზე ინდივიდუალურად ფორმა N100-ის მიხედვით, არაუმეტეს 50 ლარის ღირებულების ანტიკონვულსანტებით, აღნიშნული პროგრამით არ დაფინანსდება ის ანტიკონვულსანტები, რომლებიც

გათვალისწინებულია ქრონიკული დაავადებების სამკურნალო მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამის ფარგლებში.

სოციალური დაცვის პროგრამებისათვის ქუთაისის 2021 წლის ბიუჯეტის პროექტი ითვალისწინებს 3,780.9 ათასი ლარის გამოყოფას. აღნიშნული თანხის ფარგლებში დაფინანსდება შემდეგი 28 ქვეპროგრამა:

სოციალური უზრუნველყოფის პროგრამები (ათასი ლარი)

სოციალური საცხოვრისის კომუნალური ხრჯების უზრუნველყოფა	40.0
მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება	623.0
სარიტუალო დახმარება	20.0
სოციალური ღონისძიებები	266.9
სოციალურად დაუცველი ოჯახების ყოფითი პირობების გაუმჯობესების ხელშეწყობა	168.0
განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირთა თანადგომა	170.0
შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დახმარება	40.0
უფასო გზავრობა	80.0
უფასო კვება	791.0
კოხლარული იმპლანტით მოსარგებლე ბენეფიციართა დახმარება	22.0
ლეიკოზითა და სოლიდური სიმსივნის ფორმით დაავადებულ პირთა თანადგომა	29.0
შინმოვლა	30.0
სოციალური საცხოვრისის მშენებლობა	528.0
აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია	550.0
შ.შ.მ. პირების მხარდაჭერაზე ორიენტირებული პროექტების დაფინანსება/თანადაფინანსება	25.0
შშმ პირთა და მიუსაფარ ბავშვთა საჭიროებებზე მომუშავე ორგანიზაციების ხელშეწყობა	18.0
მარტოხელა მშობლთა დამარება	10.0
ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა დახმარება	10.0
"საქართველოს "sos" ბავშვთა სოფლის მიერ განხორციელებული პროექტის დღის ცენტრის ბენეფიციარების დახმარების პროგრამატრის ბენეფიციარების დახმარების პროგრამა	42.0
შშმ სტატუსის მქონე სტუდენტების მხარდაჭერა	9.0
ადრეული ძუძუს აგრესიული HER-2 რეცეპტორ დადებითი დიაგნოზის მქონე პირების მედიკამენტით დახმარება	50.0
გადაუდებელი რეაგირების პროგრამა	80.0
მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობების (ნულოვანი მხედველობის) მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრაცია	9.0
ინსულტის რეაბილიტაციის პროგრამა	0.0
ფსიქიკური აშლილობის მქონე პირთა შინ მოვლის საპილოტე ქვეპროგრამა	5.0
ახალდაქორწინებული ოჯახების შექმნის წახალისება	5.0

უსახლკაროთა ღამის ცენტრის მხარდაჭერა	100.0
მრავალშვილიანი ოჯახების მიერ მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობა	60.0
სულ	3,780.9

სოციალური საცხოვრისის კომუნალური ხარჯების უზრუნველყოფის ქვეპროგრამის ფარგლებში ქორციელდება ქალაქ ქუთაისში, ზ. ჭავჭავაძის ქუჩის N1 და N3-ში მდებარე სოციალური საცხოვრისის მოზინადრეთა მიერ დახარჯული ელექტროენერგიისა (თითოეულ ოჯახს თვეში არაუმეტეს 60 ლარი) და ცენტრალური გათბობისათვის საჭირო ბუნებრივი აირის თანხების ანაზღაურება წარმოდგენილი ქვითრების შესაბამისად, ფაქტობრივი ხარჯის მიხედვით. ქალაქ ქუთაისში ნიკვას ქუჩის N40-ში მდებარე სოციალური საცხოვრისის ბენეფიციარების მიერ დახარჯული ელექტროენერგიის თანხის ანაზღაურება წარმოდგენილი ქვითრების შესაბამისად, ფაქტობრივი ხარჯის მიხედვით.


მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება პროგრამით გათვალისწინებულია ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებულ და მცხოვრები მრავალშვილიანი ოჯახებს, რომელთაც ჰყავთ 4 (ოთხი) და მეტი შვილი და რეგისტრირებული არიან სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში სარეიტინგო ქულით 0–დან 70 000–მდე, თითოეულ არასრულწლოვან შვილზე გაწევით მატერიალური დახმარება თვეში 300 (ცდაათი) ლარის ოდენობით, ხოლო სხვა დანარჩენ შემთხვევაში დახმარება განისაზღვრება თითოეულ არასრულწლოვან შვილზე თვეში 20 (ოცი) ლარის ოდენობით.

სარიტუალო დახმარება - ქვეპროგრამა ემსახურება საქართველოს კანონებით: „ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ“, „სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ“ გათვალისწინებული ვალდებულებების დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში შესრულებას. განიხილება ქუთაისში რეგისტრირებული გარდაცვლილი ვეტერანის დასაფლავების ხარჯების გაწევაში დახმარების საკითხი.

სოციალური ღონისძიებები ქვეპროგრამა მოიცავს - ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული და მცხოვრები, გარკვეული კატეგორიის ღვაწლმოსილი, დამსახურებული და სოციალურად დაუცველი პირებისათვის ტრადიციულ დღესასწაულებთან და ღირსშესანიშნავ თარიღებთან დაკავშირებით სხვადასხვა შინაარსის ღონისძიებების მოწყობა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბენეფიციარების სამკურნალო - სარეაბილიტაციო მომსახურების გაწევა შავი ზღვის კურორტზე (მაგნიტური ქვიშა) სამკურნალო - სარეაბილიტაციო მომსახურების გაწევა (სათანადო დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში). განსაკუთრებული საჭიროების შემთხვევაში, დახმარების საკითხი გადაწყდება დამატებითი არგუმენტებისა (ექიმის რეკომენდაცია) და გარემოებების გათვალისწინებით.

გრაფიკი #33

სოციალური უზრუნველყოფის პროგრამები




უფასო კვების ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება ქალაქ ქუთაისის ადმინისტრაციულ ერთეულებში რეგისტრირებული უკიდურესად შეჭირვებული მოხუცებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფასო კვება დღეში ერთხელ სასადილოში და მუნიციპალიტეტის სხვადასხვა ადმინისტრაციულ ერთეულებში ბენეფიციართათვის საკვების მიწოდება ოჯახებში ყოველდღიურად.

სოციალური საცხოვრისის მშენებლობა - ქალაქში საბინაო ფონდის არარსებობა მნიშვნელოვან პრობლემებს ქმნიდა სოციალურ სფეროში არსებული საკითხების მოგვარების კუთხით. საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ შესაბამისად, საბინაო ფონდის შექმნა თვითმმართველობის კომპეტენციას წარმოადგენს. 2017 წელს მოხდა აღნიშნული საცხოვრისის შექმნა და უსახლკაროებისათვის გადაცემა. 2021 წელს განსაზღვრულია ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დარჩენილი თანხის ანაზღაურება.


ბიუჯეტის გადასახდელები საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით

2019-2021 წლების მიხედვით ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ჯამში დაიხარჯება 204,1 მლნ ლარი. ამ ხარჯების სტრუქტურა საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით მოცემულია #34-ზე და #35 გრაფიკებზე:

გრაფიკი #34



გრაფიკი #35



როგორც გრაფიკებიდან ჩანს ქუთაისის მუნიციპალიტეტის ბოლო 3 წლის ბიუჯეტის ხარჯების 37% (75 მლნ ლარი) კლასიფიცირდება შრომის ანაზღაურების მუხლით; 23% ანუ 47 მლნ ლარი დაიხარჯება არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით და ა.შ. ინფორმაცია წარმოდგენილია #34 და #35 გრაფიკებზე.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გაწეული გადასახდელების მიმდინარე და კაპიტალური ხარჯების პროპორცია ბოლო 3 წლის მიხედვით მოცემულია გრაფიკ #36-ზე.

გრაფიკი #36

მიმდინარე და კაპიტალური ხარჯები 2019-2021 წლებში

